მიმდინარე წელს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მონაწილეობით განხილული იქნა 5 სამოქალაქო საქმე, 3 საქმე გადაწყდა მერიის სასარგებლოდ, ორზე მიღებულია შუალედური გადაწყვეტილება.

სამსახურმა განსაკუთრებული მუშაობა გასწია, რომ გამოცემულიყო საკრებულოს დადგენილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის, საჯარიმო ქვითრისა და საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმების, მათი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების, ჯარიმის გადახდის, გასაჩივრებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერის წესის“ დამტკიცების თაობაზე.

შესაბამისად მომზადდა ბრძანება მერიის თანამდებობის პირების მიმართ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ან/და საჯარიმო ქვითრის შედგენის, სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების, განხილვის და სახდელის დადების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.“

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

მიმდინარე წლის დასაწყისში შედგა და დამტკიცდა 2023 წლის ნომენკლატურა, რომლის მიხედვით გაიხსნა 37 საქმე, 11 წიგნი და 12 ჟურნალი.

განხორციელდა რეზერვისტთა ანბანური და სააღრიცხვო ბარათების შედარება.

თებერვალ-მარტის თვეებში დაგეგმილი

გვქონდა და განვახორციელეთ შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვილი და შეჯერებული, დაზუსტებული სიების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკისა და ბრძანებების საფუძველზე, მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და ინფორმაციის შეტანა 2006 წელს დაბადებულ წვევამდელთა ანბანურ წიგნში.

მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის ბრძანების და გეგმა გრაფიკის საფუძველზე, განვახორციელეთ გაწვევისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებები: დაუწყება, გაწვევისათვის შესაბამისი დოკუმენტების მომზადება და შემკრებ გამანაწილებელ ცენტრში არსებულ მუდმივმოქმედ სამხედრო-სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე წარდგენა.

საგაზაფხულო გაწვევის გეგმა - გრაფიკით გასაწვევი იყო 10 წვევამდელი, გაწვეულ იქნა 11. საშემოდგომო გაწვევის გეგმა - გრაფიკით გასაწვევი არის 10 წვევამდელი, გაწვეული იქნა 7. ასევე არასამხედრო ალტერნატიულ შრომით სამსახურში ჩარიცხულ იქნა 1 (ერთი) წვევამდელი.

კომისიის მუშაობის შედეგი აისახა 6 ოქმში, რომლის საფუძველზეც წვევამდელებს მიეცათ სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლება და გაწვევისაგან გადავადება.

– გადავადება მიეცა იმ წვევამდელებს, რომლებმაც წარმოადგინეს მოწმობა საქართველოს ქრისტიანული, ევანგელისტური, პროტესტანტული ეკლესიის მოწმობა - 10.

საგაზაფხულო გაწვევის დამთავრების შემდეგ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარვუდგინეთ ანგარიში.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური პერიოდულად ანხორციელებს შემდეგ სამუშაოებს:

– წვევამდელებზე, მკაცრი აღრიცხვის უწყისებით, სამხედრო სააღრიცხვო მოწმობების გაცემა.

– სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილთა და ზღვრული ასაკის შესრულების გამო რეზერვში ჩარიცხულ წვევამდელთა აღრიცხვაზე აყვანა და მერის ბრძანების საფუძველზე სამობილიზაციო რეზერვში ჩარიცხვა (წლის განმავლობაში ჩარიცხულ იქნა 47 მოქალაქე).

– საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეული რეზერვისტების და წვევამდელების პირადი საქმეების შექმნა და შესაბამის უწყებაში გადაგზავნა (წლის განმავლობაში შეიქმნა და გადაიგზავნა 8 საქმე).

– აქტიურ სარეზერვო სამსახურში გასაწვევად შერჩეულ კანდიდატთა პირადი საქმეების შექმნა და შესაბამის უწყებაში გადაგზავნა (წლის განმავლობაში ჩარიცხულ იქნა 23 მოქალაქე).

– რეზერვისტთა დროებითი მოწმობების გაცემა (წლის განმავლობაში გაიცა 41).

– მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცემა.

– ყოველთვიურად აღრიცხვაზე აყვანილი, აღრიცხვიდან მოხსნილი და სპეციალურ აღრიცხვაზე გადაყვანილ რეზერვისტთა შესახებ, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

– ზღვრულ ასაკს მიღწეული რეზერვისტთა მოხსნა და პირადი საქმეების არქივში გადატანა.

– საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ რეზერვისტთა პირადი საქმეების აღრიცხვა და მათი საერთო სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა.

ამჟამად მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა შესაბამისი ღონისძიებებით.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური

ასპინძის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური ყოველწლიურად თავისი პროფილიდან გამომდინარე ახორციელებს კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

2023 წელს კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვს 194 000 ლარი, მათ შორის 175 000 ლარი კულტურული, შემეცნებითი და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის, 19 000 ლარი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზებაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ კალენდარული სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გაიმართა შემდეგი აქტივობები, კერძოდ:

3 მარტს - დედის დღესთან დაკავშირებით ასპინძის კულტურის ცენტრში გაიმართა თემატური ღონისძიება;

8 მარტის, დღესასწაული - მდიდარია ტრადიციებით, ღონისძიების პროგრამის ფარგლებში - ამ დღეებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი;

15 მარტს – ასპინძის მუნიციპალიტეტის ვალერიან მაღრაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ქართველი ფოლკლორისტისა და კომპოზიტორის ვალერიან მაღრაძის 100 წლის საიუბილეო ღონისძიება.

18 მარტს - ,,საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-2023''-ის ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში გაიმართულ რეგიონალური თამაშები სპორტულ სახეობა ფრენბურთში;

21 მარტი - დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მუნიციპალიტეტის თანადგომის აქცია;

24 მარტი - ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა ,,მუნიციპალური პირველობა ჭადრაკში;

31 მარტი - ასპინძის კულტურის ცენტრის ფოიეში ჩატარდა ,,მუნიციპალური პირველობა

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის დღეს - წმ. გიორგის სახელობის ასპინძის ხვილიშის ეკლესიის ეზოში მდებარე 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა თემატური ღონისძიება;

14 აპრილს, ა(ა)იპ ,,ასპინძის ვ. მაღრაძის სამუსიკო სკოლის'' დარბაზში ა(ა)იპ ,,მთავარი ბიბლიოთეკის'' საბავშვო განყოფილების ორგანიზებით ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ღონისძიება თემაზე - ,,შენ ფუძევ ჩვენო -ენავ ქართულო''.

20 აპრილს- ასპინძაში 1770 წლის 20 აპრილს მომხდარი ასპინძის ბრძოლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

25 აპრილს - ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ინიციატივით, ასპინძის მუნიციპალიტეტი ყოველწლირად მონაწილეობს ეროვნული ბიბლიოთეკის არაჩვეულებრივ წამოწყებაში - „აჩუქე წიგნი, აჩუქე თავგადასავალი“.

15 მაისიდან - 26 მაისის ჩათვლით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით - მოყვარულთა ლიგა 2023''-ის მუნიციალური თამაშები;

26 მაისი - საქართველო დამოუკიდებლობის დღე.

1 ივნისს - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღის ყველა სააღმზრდელო ჯგუფს მუნიციპალიტეტისაგან გადაეცათ საჩუქრად სათამაშოები;

13 ივლისი - დაბა ასპინძაში კულტურისა და დასვენების პარკი გაიხსნა.

20 ივლისი - სამსახურმა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ფორმალური და არაფორმალური განათლების მიმართულებით, ცოდნის განათლებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყო ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსწავლეების ჩართულობა რეგიონში მოქმედი ა.ა.ი.პ. ,,საქართველოს ზარზმის მონასტრის აღორძინების ფონდი სავანე''-ს მიერ ორგანიზებულ მათემატიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა.

28 ივლისი - საქართველოს ფეინთბოლის ეროვნული ფედერაციის ინიციატივითა და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, ასპინძაში ფეინთბოლში ჩემპიონატი ჩატარდა.

8 აგვისტოს, აგვისტოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, დაბა ასპინძის გარეთობისა და დასვენების სამკუთხა პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან ერთად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს და ომში დაღუპულ გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

12 აგვისტოს ტრადიციულად, სოფელ დამალაში, კოხტას ციხეზე გაიმართა ცოტნე დადიანის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

15 სექტემბერი- მოზარდ თაობაში წიგნის პოპულარიზაციის მიზნით საჩუქრად გადაეცათ წიგნები პირველკლასელებს;

23 სექტემბერი - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული - ,,შოთაობა-2023''.

დღესასწაულის პროგრამის ფარგლებში საზეიმო ვითარებაში სამ მოქალაქეს გადაეცა წოდება ,,საპატიო ასპინძელი''-ს მოწმობა და მედალიონი .

დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალდაქორწინებული წყვილები ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანით'' დაასაჩუქრა.

პოეზიის სახალხო დღესასაწაულზე ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულს გადეცა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული პირველი პრემია (1500) ლარი. მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას შოთა რუსთაველს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 თებერვლის N6 დადგენილების თამახმად „ასპინძის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სპორტის დარგში წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების 2023 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის“, საფუძველზე სამსახურმა უზრუნველყო 2 წარმატებული სტუდენტის, 10 წარმატებული სპორტსმენის და 2 მწვრთნელის ფინანსური მხარდაჭერა.

სამსახურმა თებერვლიდან-ოქტომბრის თვის მონაკვეთში ძეგლების სეზონური მონიტორინგის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოახდინა: დაბა ასპინძის, სოფლების იდუმალის, ოთის, ნიჯგორის, დამალის თოკის, ვარგავის, ორგორის, ძველის, ჭობარეთის, ტოლოშის, ხერთვისის, აწყვიტაერკოტის, ნაქალაქევის, ფიის, თმოგვის, მირაშხანის, ბუზმარეთის და ნიალის ზონების მიდამოებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების მდგომარეობის ინსპექტირება.

ვთანამშრომლობდით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოვლინებულ ექსპედიციებთან, რომლებიც მიმდინარე წელს ანხორციელებდნენ არქეოლოგიურ, სარესტავრაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით ვთანამშრომლობთ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან.

ტურისტული მიმართულებით სამსახური აქტიურად თანამშრომლობდა ტურიზმის ადგილის მართვის ახლადშექმნილ ოგანიზაციასთან (DMO), მათთან თანამშრომლობის ფარგლებში მოხდა საროს ტურისტული ბილიკების პოექტირება.

შეხვედრა მედალოსნებთან

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე,** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **მერაბ ზურაბაშვილი,** სსიპ ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ტრისტან მურადაშვილი,** ასპინძის საჯარო სკოლის დირექტორი **კლარა ზედგინიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2022-2023 სასწავლო წლის მედალოსნებს შეხვდნენ, კურსდამთავრებულებს მიულოცეს სტუდენტობა, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება და საჩუქრად ფულადი ჯილდოები გადასცეს.

„თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე და იმედს ვიტოვებ, თქვენს ცოდნასა და გამოცდილებას რეგიონის განვითარებას მოახმართ.

წარჩინებული ახალგაზრდების ხელშეწყობა მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ჩვენ თქვენს საჭიროებებზე მორგებულ პროგრამებს ვახორციელებთ, რომლით სარგებლობა ნებისმიერ თქვენგანს შეუძლია“ – მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ წარჩინებულ მედალოსნებს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2022-2023 სასწავლო წლის 20 წარმატებული მოსწავლეა, მათგან 13 ოქროს, ხოლო 7 – ვერცხლის მედალოსანია.

ოქროს მედალოსნები:

*დაბა ასპინძის საჯარო სკოლა – **ალედიაკონიძე ;***

*დაბა ასპინძის საჯარო სკოლა – **მარიამ ივანიძე;***

*დაბა ასპინძის საჯარო სკოლა – **ანა კოსტანიანი;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლა – **აიკ მაკარიან;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ დამალის საჯარო სკოლა – **ვართუი სააკიან;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა – **მარი თედორაძე ;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა – **ანი მაისურაძე ;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა – **მარიამ მაისურაძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლა – **რუსუდანი ოთანაძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლა – **ლუკა შავაძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა – **მარიამ გოგალაძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა – **მარიამ მურადაშვილი;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანის საჯარო სკოლა – **ლელა ქამაშიძე.***

ვერცხლის მედალოსნები:

*დაბა ასპინძის საჯარო სკოლა – **სანდრო ველიჯანაშვილი;***

*დაბა ასპინძა საჯარო სკოლა – **ანა ლონდარიძე;***

*დაბა ასპინძის საჯარო- **სალომე ნემსაძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა – **მირანდა მექოშვილი;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიზაბავრის საჯარო სკოლა – **გიორგი ქუქჩიშვილი;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანის საჯარო სკოლა – **ზურაბ ქამაშიძე;***

*ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანის საჯარო სკოლა – **რამაზი ქამაშიძე;***

შეხვედრაზე სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები ასპინძის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტიდან დაჯილდოვდნენ ოქროს მედალოსნები – 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო ვერცხლის მედალოსნები – 300(სამასი) ლარით.

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მეათეკლასელ მოსწავლეებს, რომლებსაც მე–7, მე-8 და მე-9 კლასები ათ ქულაზე, დამრგვალების გარეშე აქვთ დამთავრებული, საჩუქრად კომპიუტერები გადაეცათ.

წარმატებულ მოსწავლეებს კომპიუტერები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის – „ჩემი პირველი კომპიუტერის“, ფარგლებში დაურიგდათ.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მირაშხანის წარჩინებულმა მოსწავლეებმა მიიღეს კომპიუტერები.

პროექტის მიზანია მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერება.

შეხვედრა თანამემამულე მწერალთან



ასპინძის საჯარო სკოლის პირველ სართულზე, სადაც მეხუთე კლასია, დიდი გამოცოცხლება იგრძნობა. მოსწავლეები დერეფანში ფურცლებითა და ფოტო სურათების ასლებით, აჩქარებული ნაბიჯით, მიდი-მოდიან და ერთმანეთში რაღაცაზე ბჭობენ. როგორც ჩანს, საპატიო სტუმარს მოუთმენლად ელიან, ეს სტუმარი კი ჩვენი თანამემამულე პოეტი და მწერალი, მათთვის უკვე კარგად ცნობილი მოთხრობის – ,,რა კარგი ხარ ჩიხორიშო“ ავტორია, – დურმიშხან ბერიძე.

ახალი სასწავლო წლის დაწყებისას, მეხუთე კლასის მოსწავლეები, კლასის დამრიგებელთან – ოლღა ლეკიშვილთან ერთად ესტუმრნენ ასპინძის მთავარ ბიბლიოთეკას და პირველად იქ იხილეს ბატონი დურმიშხანის ფოტო. ერთერთმა მოსწავლემ მაშინვე შეიცნო ასპინძაში, მეზობლად მცხოვრები, ,,დურმიშხან ბიძია“. ბავშვებს გაოცება და სიხარული ერთდროულად აღებეჭდათ სახეზე, როდესაც შეიტყვეს, რომ ბატონი დურმიშხანი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მრავალი ლექსის, მოთხრობის, პიესის, ისტორიული რომანის ავტორია და ამიტომაც იყო მისი ფოტო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის კედელზე გაკრული სხვა ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად.

იმ დღიდან მოყოლებული ისინი ეცნობიან, კითხულობენ ბატონი დურმიშხანის ნაწარმოებებს. ავტორის შემოქმედებიდან ყველას ძალიან მოეწონა მისი მოთხრობა – ,,რა კარგი ხარ ჩიხორიშო“ და სწორედ ეს გახდა მათი მიზანი, – მოეწვიათ სასურველი სტუმარი სკოლაში.

მწერალთან შეხვედრა შედგა ასპინძის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში. მოსწავლეები საკუთარ შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ბედნიერები იყვნენ იმის გამო, რომ მოთხრობაში აღწერილი ყველა ისტორიული ძეგლი თითოეულისათვის ნაცნობი იყო. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მწერლის ენა მათთვის გასაგები და ძალზედ ლამაზია.

მოთხრობის განხილვის შემდეგ ბავშვებს არაერთი კითხვა გაუჩნდათ მწერალთან მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ბატონი დურმიშხანიც დაუზარელად, სიამოვნებითა და ცოტაოდენი იუმორითაც კი პასუხობდა ბავშვების ცნობისმოყვარეობით აღძრულ არაერთ კითხვას.

შეხვედრის დასასრულს მოსწავლეები მწერალს დაპირდნენ, რომ წაიკითხავდნენ მის

ყველა ნაწარმოებს და სამომავლოდ მასთან შეხვედრებს კვლავაც დაგეგმავდნენ. ამასთან აღუთქვეს, რომ მოთხრობებში აღწერილ ასპინძის სხვა ისტორიულ ძეგლებსაც აუცილებლად მოივლიან და ეკლესია-მონასტრებშიც მოილოცავენ.

კლასის ხელმძღვანელმა ბავშვებს მიაწოდა საინტერესო იდეა, – დაამზადონ ბატონი დურმიშხანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო-ალბომი და საჩუქრად გადასცენ სკოლის ბიბლიოთეკას, რათა მომავალმა თაობებმა არ დაივიწყონ თავიანთი თანამემამულე მწერალი და პოეტი, რომლის ნაწარმოებების ძირითადი თემატიკა სამცხე-ჯავახეთია.

მთვარისა ზედგინიძე

პოეზიის კუთხე

***

საკოცნელად მიხმობენ
ვარდისფერი ტუჩები,
ნეტავ რას მემართლები,
ნეტავ რას მეურჩები.

არც ყვავილი ინდომე,
არც ფიალა ბადაგი,
არ გინდივარ? ავიკარ
ჩემი გუდა-ნაბადი.

აღარ მომენატრები,
გზები დამილოცნია,
დაივიწყე ლამაზო,
რაც შენთვის მიკოცნია.

***

ლურჯთვალება არა ხარ,
მაინც გქვია ია,
გოგოვ, შენთვის სიყვარულს
კარები აქვს ღია.

ნეტავ რას ინაზები,
რად მარიდებ თვალსა,
არ გინდივარ? მე მაინც
შემოგიღებ კარსა.

ჩაგიხუტებ, ჩაგიკრავ
მკერდზე ნება-ნება,
თუკი ცოტას იტირებ _
რა ვქნა, ასეც ხდება.

მოგიტაცებ, წაგიყვან,
სადმე უღრან ტყეში,
ღიღილოებს ჩაგინნავ
მაგ გიშრიფერ თმებში.

დილით ნამს გახვრეპინებ
მზის სხივებით ნაბანს,
შვლის ნუკრივით ჩაგიკრავ
და თვალებს გავნაბავ.

ბერბიჯებს

შვლის სისწრაფე და არნივის თვალი,
მხარბეჭიანი ვით ამირანი.
ბრძოლის თუ შრომის არა გდევს ვალი,
სიყვარულს უვლი სულ განი-განით.

სიცილ-კისკისით როგორ უვლიან
ეზოს შავთვალა გოგო-ბიჭები,
მოდით, ყველამ ვთქვათ ჩვენი სათქმელი,
გავკიცხოთ ყველგან ეს ბერბიჭები.

ადამიანო, შენი ცხოვრება
მოაწყე შენვე ფესვებმაგარი,
შთამომავლობას ემახსოვრება
შენი სიკეთე შეუსადარი.

ეჭვი

არწივებმა გადიქროლეს ცაზე
და უეცრად ქარი ამოვარდა,
იქნებ გული შეგივარდა სხვაზე,
გადაგექცა გზა შავ ეკალ-ბარდად.

ეჭვმა დამწვა, ძლივს გავლიე ღამე,
ო, მწველ ფიქრებს გაუშლიათ კალთა,
მომეფერე და მიამბე რამე,
მომახვიე შენი ჭრელი ბაფთა.

ცა იხსნება, მოდის ალიონი,
შორს გამოჩნდა კონტურები მთების,
სიყვარული არ ყოფილა იოლი,
ხელაღებით მას ნუღარ შეხვდებით.

მუზა

ჩემში თავად შემოფრინდა მუზა,
მოიტანა გაზაფხულის სუნი,
და იმწამსვე პაწაწინა ქაღალდს
დაამჩნია შავზე შავი ხნული.

დამფარფატებს, მიალერსებს, მტანჯავს,
მღერის, ანცობს, კისკისებს და ტირის,
ვინ გაუძლებს გულს ჩარჭობილ ხანჯლად,
ხმა რომ ესმას აჟღერებულ სტვირის.

მუზავ ჩემო, რას მერჩოდი ნეტავ,
გადამრიე და გარშემო მივლი,
არ მოიშლი, დამდაგავ და დამწვავ?
მუდამ ჩემთან ხელაღებით ივლი!

ციური ფოცხვერაშვილი,

ასპინძა
1992-1997 წლები

პატარებს - მეტი ყურადღება!

ასპინძის N1 ბაგა-ბაღში ამ დღეებში საშემოდგომო დღისადმი მიძღვნილი დაგეგმილი აქტიობები გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდა ორი უფროსი ჯგუფის აღსაზრდელები. ჩვენი პატარების გართობის მიზნით ყოველდღიურად სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებს ვმართავთ. ამჯერად კი გადავწყვიტეთ ჩვენი პატარა აღსაზრდელები წაგვეყვანა ახლადრეაბილიტირებულ პარკში, ღია ცის ქვეშ და გარკვეული

პერიოდი ლამაზ გარემოში გვყოლოდა და მათთვის გართობის პირობები შეგვექმნა. აღსაზრდელთა დანარჩენმა ოთხმა ჯგუფმა კი „საშემოდგომო ღონისძიება“ საბავშვო ბაღის ეზოში გაატარეს.

ჩვენი ბაღის აღსაზრდელები ძირითადად დაბაში მცხოვრები და, ასევე, ოთელი, ოშორელი, ნიჯგორელი და დამალელი პატარებია, რომელთა ნორმალური აღზრდისათვის აქტიურად მონაწილეობს თითოეული თანამშრომელი.

ლეილა აბაშიძე

წარმატებული რაგბისტები

უკანასკნელი რამდენიმე წელია რესპუბლიკის ხელისუფლების, სამხარეო ადმინისტრაციის და რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიების მხარდაჭერით განსაკუთრებული ადგილი უკავია სპორტის განვითარების საქმეს, რადგან ფიზიკურად განვითარებული ადამიანები ჯანსაღ საზოგადოებას ქმნიან. ცნობილი გამოთქმისა არ იყოს: „ჯანსაღ სხეულში ჩანსაღი სულია“ და ახალგაზრდობისთვის ამ მიმართულებით ხელშეწყობა კი საშვილიშვილო საქმეა.

რეგიონში წინა პლანზე ყოველთვის იყო წამოწეული სპორტის ისეთი სახეობის განვითარება, როგორიც ფეხბურთი და ჭიდაობაა, თუმცა, ბოლო პერიოდში, ასევე დიდი ყურადღება მიექცა რაგბის განვითარების საქმეს.

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 2012 წელს დაბა ასპინძაში გაიხსნა რაგბის ერთ-ერთი საუკეთესო მოედანი, რომელიც სპორტის ამ დარგის რეგიონულ ცენტრად იქცა და შესანიშნავი საკლუბო გუნდი „ტაო“ შეიქმნა, რომელიც რესპუბლიკის მასშტაბით თავის სიტყვას ამბობს.

რაგბის კლუბი „ტაო“ შეიქმნა 2016 წელს, სამცხე-ჯავახეთის ექვსივე მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. კლუბი რეგიონის მასშტაბით აერთიანებს ვაჟთა (16 წლამდე ასაკის) და ბავშვთა (7დან 14 წლამდე) ასაკის გუნდებს. 2017-18 წლების სეზონში „ტაოს“ ვაჟთა გუნდმა მოიგო საქართველოს რაგბის ჩემპიონატის რეგიონული ლიგა და გადავიდა პირველ ლიგაში. ნიშანდობლივია, რომ კლუბი ყოველთვის პირველ ლიგაში წარმატებულად გამოდის, კერძოდ, 2021-22 წლების სეზონში მან დაიკავა მეორე ადგილი და დიდ ათეულში (უმაღლეს ლიგაში) გადასასვლელი 2 მატჩიანი პლეიოფი, ჯამში მხოლოდ სამი ქულით დათმო და იმ სეზონში მესამე ადგილი დაიკავა. წლევანდელ სეზონში კლუბი ასევე კვლავ იბრძვის „დიდ ათეულში“ გადასასვლელად. 16 სექტემბერს კლუბმა ჭიათურაში ადგილობრივი „მათე“ 19-ით 5 დაამარცხა, 24 სექტემბერს შინ – 36-ით – 6 – ქუთაისის „ბაგრატი,“ 29 სექტემბერს, ლიგის ერთ-ერთი ლიდერი – გორის „გორი“დაძაბულ ბრძოლაში 20-ით 18 სძლია, პატარძეულის „ვეფხვებს“ ბონუს ქულით 31-ით 19 მოუგო. ამა წლის 21 ოქტომბერს კი „ტაომ“ მორიგი თამაში თბილისში გამართა მარნეულის „არმაზთან“ და დამაჯერებელი ანგარიშით 31-ით 19 დაამარცხა. ეს კი სამცხე-ჯავახეთის რაგბის საკლუბო გუნდისთვის დიდი გამარჯვებაა. 5 თამაშიდან 5 მოიგებით კლუბი სატურნირო ცხრილში ამჟამად მეორე ადგილს იკავებს და ლიდერ წყალტუბოს „დინოზავრებს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება. კლუბს რეგულარულ სეზონში დარჩენილი აქვს 13 თამაში, რომელიც 2024 წლის მარტში დასრულდება.

მუნიციპალური სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

ასპინძის მუნიციპალიტეტში სტარტი აიღო საქართველოს ,,სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა – 2023“-ის მუნიციპალურმა თამაშებმა.

7 ოქტომბერს, ასპინძაში მუნიციპალური თამაშები სპორტულ სახეობა გეზრბენში ჩატარდა. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის, ტოლოშის, ნაქალაქევის, ხიზაბავრასა და ნიჯგორის საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გეზრბენის გუნდებმა.

გამარჯვება მოიპოვეს:

ვაჟებში:

I ადგილი - ნაქალაქევის საჯარო სკოლა;
II ადგილი - ხიზაბავრას საჯარო სკოლა;
III ადგილი - ასპინძის საჯარო სკოლა.

გოგონებში:

I ადგილი - ტოლოშის საჯარო სკოლა;
II ადგილი - ხიზაბავრას საჯარო სკოლა;
III ადგილი - ასპინძის საჯარო სკოლა.

ყველა მონაწილე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისაგან დაჯილდოვდა მედლებითა და თასებით:

თამაშების გამარჯვებული გუნდები 2024 წლის გაზაფხულზე საქართველოს სასკოლო ოლიმპიადის რეგიონულ თამაშებში მიიღებენ მონაწილეობას.

მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზება ასპინძის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

მუნიციპალური თამაშების შედეგები

„სასკოლო სპორტული ოლიმპიადა - 2023-2024“ -ის ფარგლებში ასპინძის მუნიციპალური თამაშები კულტურისა და დასვენების პარკის ხელოვნურსაფარიან მინი მოედანზე გოგონებსა და ვაჟებს შორის ფეხბურთში გაიმართა.

აღნიშნულ ოლიმპიადაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა ათ-ათი გუნდი.

მინი -ფეხბურთში გოგოებში:

I-ადგილი ძველის საჯარო სკოლამ მოიპოვა.

II ადგილი - ორგორის საჯარო სკოლამ.

ფინალურ შეხვედრაში ვაჟებში ერთმანეთს დაუპირისპირდა ასპინძისა და მირაშხანის საჯარო სკოლები.

მინი-ფეხბურთი ბიჭებში:

I ადგილი მირაშხნის საჯარო სკოლამ მოიპოვა.

II ადგილი - ასპინძის საჯარო სკოლამ.

თითოეული მონაწილე დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის მერიისაგან მედლებითა და თასებით.

გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის სახელით რეგიონის პირველობისთვის იბრძოლებენ.

მუნიციპალურ თამაშებს ორგანიზება ასპინძის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

სპორტული ფორმები – საჩუქრად

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერითა და ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების ინიციატივით, ასპინძის ფეხბურთის სექციის სპორტსმენებს საჩუქრად სპორტული ფორმები გადაეცათ.

მოზარდ ფეხბურთელებს ფორმები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ, საკრებულოს თავჯდომერის პირველმა მოადგილემ მერაბ ზურაბაშვილმა და ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების დირექტორმა ლევან მაზმიშვილმა გადასცეს და წარმატებები უსურვეს.

აღსანიშნავია, რომ სპორტული ფორმებით უზრუნველყოფა ყოველწლიურად ხორციელდება ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანების სხვადასხვა სექციის მოზარდი სპორტმენებისთვის.

ხალხური მედიცინის რეცეპტი

სისხლში ქოლესტერინის შემცირებისათვის

ადამიანის სისხლში ქოლესტერინის დონემ რომ არ მოიმატოს, საჭიროა საკვები მივიღოთ მცირე რაოდენობით, ხშირ-ხშირად. ამით თავიდან ავიცილებთ ასევე ჰიპერტონიას, ათელოსკრელოზს და მსხვილი ნაწლავის კიბოს;

ქოლესტერინის დონის დასაწევად ყოველდღე მიიღეთ დანაყილი ნიორი ვაშლის ძმარში და თაფლში შერეული ერთი ჩ/კოვზი დილით უზმოზე.

დაჟეჟილობის დროს

ორ-ორი ფინჯანი წყალი და ვაშლის ძმარი, ერთი ფინჯანი არაყი ერთად აურიეთ, შემდეგ ერთი ჩ/კოვზი ნიშადურის სპირტი. მასში დაასველეთ ტილოს ნაჭერი და ხშირ-ხშირად დააფინეთ დაჟეჟილ ადგილზე.

ცხვირიდან სისხლდენის დროს

ხელ-ფეხი და პირი (ცხვირი) ცივი წყლით მოიბანეთ. შუბლზე ცივი ტილო დაიდეთ და იყნოსეთ ქაფურისა და ვარდის წყლის ნარევი.

მაღალი ტემპერატურის დროს

ნახევარი ჩ/კოვზი მარცვლოვანი შავი პილპილი მოვხარშოთ 2 ჭიქა წყალში მცირეოდენ თაფლთან ერთად 30 წუთი. დავაცადოთ 30 წუთი დახურულ ემალის ჭურჭელში და მივიღთ დღეში ორჯერ.

ჭრილობის დროს

ყვითელი შაბი დანაყეთ და წმინდად გაცერით, შემდეგ მოაყარეთ ჭრილობაზე. სისხლდენა მაშინვე შეწყდება.

– ჭრილობაზე სისხლდენის შესაჩერებლად დაადეთ შედედებული ძროხის თბილი სისხლი.

– კოწახურის ფესვის ძირი ან ფოთლები დანაყეთ და დაადეთ ჭრილობაზე.

– თუ ჭრილობაში არის ხის, რკინის ნაწილაკები ან ეკალი, მაშინ ლერწმის ძირი და ხახვი ერთად დანაყეთ, დაადეთ ჭრილობიან ადგილზე და შეუხვიეთ. ნაყენი ცოტა ხანში გამოსწოვს მას.

– ჭრილობიდან სისხლდენას აჩერებს მრავალძარღვას ნედლი დანაყილი მასა.

ფაღარათის დროს

მიიღეთ კოწახურის, ლიმონის, ტყემლის, დაუმწიფებელი ბროწეულის, ვაშლის, კომშის ნაყენი.

მიიღეთ დაუმწიფებელი ყურძნის წვენი დღეში სამჯერ ერთი ჩ/კოვზით.

მიიღეთ შინდის ნახარში ერთი ჭიქა დღეში სამჯერ.

მიიღეთ ახალი ყველი და დო.

მიიღეთ ბრინჯის კერძი.

***

არყის ხის კვირტების ნაყენი გამოიყენება ფაღარათის და კუჭის ტკივილების, კუჭის წყლულის, თირკმლების, კანის, ეგზემის შარდის ბუშტის დაავადების, რევმატიზმის სამკურნალოდ.;

ნაყენის დამზადების წესი: 20 გრამი არყის კვირტებს დავასხათ 100 მლ. გრამი 70%-იანი სპირტი. გავაჩეროთ ორი კვირის განმავლობაში. გავფილტროთ და შევინახოთ ბნელ და გრილ ადგილზე მინის ჭურჭელში.

მიღების წესი: 15-30 წვეთი ერთ სუფრის კოვზ წყალთან ერთად დღეში სამჯერ.

კუჭის შეკრულობის და ტკივილის დროს

30 ცალი მწვანე ნედლი კაკალი დავაქუცმაცოთ, დავასხათ 1 ლიტრი სპირტი. გავაჩეროთ მზეზე ორი კვირის განმავლობაში, პერიოდულად ვანჯღრიოთ, შემდეგ გავწუროთ. შევინახოთ ბნელ ადგილზე.

მივიღოთ ერთი ჩ/კოვზი ერთ სუფრის კოვზ წყალთან ერთად დღეში სამჯერ ჭამის წინ.

ჩაწერილია სოფელ ტოლოშში გასული საუკუნის 80-იან წლებში ალექსანდრე მელიქიძის მიერ

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია